პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და სურსათის უვნებლობის სისტემის შემდგომი პროგრესის უზრუნველყოფა საქართველოში

განხორციელების ვადა: 19.10.2020 - 01.05.2023

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 450 000

Funded by the European Union

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Food and Veterinary Service of the Ministry of Agriculture of Latvia, Agriculture and Food Board of the Ministry of Rural Affairs of Estonia, Swedish Board of

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/National.Food.Agency,

პროექტის ვებსაიტები: zm.gov.lv/en/partikas-un-veterinarais-dienests/statiskas-lapas/implementation-of-eu-funded-projects?id=7847#jump

პროექტის აღწერა:
პროექტი მიზნად ისახავს, დაეხმაროს საქართველოს სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის შემუშავებასა და დანერგვაში და საჭირო პროცედურების მომზადებაში, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროში პროგრესის გაღრმავების მიზნით. ეს ხელს შეუწყობს აღნიშნული უწყებების ძალისხმევას დანერგონ ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობა და ევროპის საუკეთესო პრაქტიკა ამ მნიშვნელოვან სფეროში. ამ მიზნის მისაღწევად, ორწლიანი პროექტის ფარგლებში, ევროპელი ექსპერტები ლატვიის, ესტონეთისა და შვედეთის შესაბამისი ინსტიტუტებიდან იმუშავებენ ქართველ კოლეგებთან ერთად რამდენიმე მიმართულებით, რაც მოიცავს კანონმდებლობის შემუშავებას, ტრენინგების ჩატარებასა და სხვა ინსტრუმენტების მომზადებას სურსათის უვენბლობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. უფრო ფართო თვალსაზრისით, პროექტი და მისი შედეგები უნდა დაეხმაროს საქართველოს განავითაროს ქმედითი საბაზრო ეკონომიკა და შეძლოს ევროკავშირის ბაზარზე წარმატებული კონკურენცია, მომხმარებელთა დაცვისა და სურსათის უვნებლობის მაღალი სტანდარტების მიღწევასთან ერთად.

პროექტი შედგება სამი კომპონენტისგან, რომელიც ითვალისწინებს საქმიანობას სამ ძირითად სფეროში: ა) კანონმდებლობის დაახლოება, ბ) შესაძლებლობების გაძლიერება და გ) კანონმდებლობის აღსრულება.

პირველ მიმართულებაში, პროექტი განახორციელებს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის შესახებ

მოსალოდნელი შედეგები:
პროექტის მოსალოდნელი შედეგები დაყოფილია სამი ძირითადი სფეროს მიხედვით, რომლებშიც ცალ-ცალკე განსაზღვრულია უფრო კონკრეტული ქვე-შედეგები, კერძოდ:
სფერო 1: ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ეფექტური დაახლოების უზრუნველსაყოფად, სუსრსათის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული და საოპერაციო შესაძლებლობების მხარდაჭერა
•ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გეგმის შესაბამისად, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკის შესახებ კანონმდებლობა შემუშავებული და მიღებულია ეფექტურად.
•ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კანონმდებლობის წარმატებულ იმპლემენტაციაზე სისტემატურ მონიტორინგს ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტოს მენეჯმენტის სისტემა.
სფერო 2: ცენტრალურ და რეგიონალურ დონეზე სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული საკითხებისა და პირველადი წარმოების ჰიგიენისა და უვნებლობის სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერა
•შემუშავდა და ეფექტურად დაინერგა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკის მონიტორინგის/მეთვალყურეობის პროგრამები
•შემოღებულია ვეტერინარული ბიო-უსაფრთხოების ზომები
•პირველადი წარმოების სფეროში ჰიგიენისა და უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვა გაძლიერებულია
•ფიტოსანიტარული ინფორმაციის სისტემა შექმნილია